სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურ. ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვებ[illegible]
[illegible] რედაქციაში დილის
11—3 საათამდე და საღამოს 6—?
[illegible] „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზია.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან. [illegible]
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.
Типографія и редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул.
д. Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 1 მან. 50 კაპ.

## ქართული თეატრი
### ხუთშაბათს, 18 ნოემბერს,

ქართული დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

## აი გიდი მეგობრებო

კომედ. 4 მოქმედ. თხზ. ვ. სარდუსი, თარგ. კ. ბაქრაძისა.

მომქმედნი პირნი:

| | |
|---|---|
| ტოლოზან, ექიმი — — — | კ. მესხი |
| მორისი, ამის მეგობარი — — | ვ შათირიშვილი |
| კოსსადი, მდიდარი მემამულე — | ბ. გედევანოვი |
| მარეკა ( ამისი მეგობარი | ვ. აბაშიძე |
| ვინიო ( ამისი მეგობარი | ბ. ადამიძე |
| აბდულა, ალჟირელი ( ამისი მეგობარი | ბ. სვიმონიძე |
| ვინიოს მეუღლე — — — | ქ. გაბუნია-ცაგარლისა |
| რაფაელ, მარეკას შვილი — — | ქ. ან. აბაშიძე |
| სესილ, კოსსადის ცოლი — — | ქ. ნებიერიძე |
| ბენჟამენ, კოსსადის ქალი — — | ქ. გარელი |
| ჟენი, მოსამსახურე — — — | ქ. ჯავახიშვილი |
| დელარიმოდიერ ( სეკუნდატები — | ბ. სხირტლაძე |
| ლანსელო ( სეკუნდატები — | ბ. ხოსროევი |
| ლორანი, მებაღე — — — | ბ. ურუშაძე |

მოქმედება სწარმოებს პარიზის ახლო სოფელში.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორნი: ვ. აბაშიძე და კ. მესხი.

ამ მოკლე ხანში დანიშნულია ბენეფისი ვ. აბაშიძისა.

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ვ. თოფურიასი
ქუთაისში.

სამკურნალოში 60 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი, არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ვ. თოფურია. საქირურგო თვალების ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. ზერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი. საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისათვის.

სამკურნალოს დირექტორი ს. ვ. თოფურია

Лѣчебница С. В. Топуріа въ Кутаисѣ

## ახალი ამბავი

—

*** მთავრობის განკარგულება. მავნებელ მიმართულებისათვის გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე", რომელიც გამოდის ქ. ტფილისში თავ. ვ. მ. თუმანოვის რედაქტორობით, კავკასიის მთავარ-მართებლის განკარგულებით შეჩერებულ იქმნა რვა თვით.

*** ქართული წარმოდგენა. დღეს, 18 ნოემბერს, ქართულს თეატრში წარმოდგენილი იქმნება საუკეთესო ჩვენის არტისტებისაგან სარდუს 4 მოქმედებიანი კომედია „აი გიდი მეგობრებო".

ეს წარმოდგენა საქველ-მოქმედო მიზნით არის და იმედია მრავალი ხალხი ესწრება.

*** მთავრობის განკარგულებანი. გორის რეზერვნას პოლკის უფროსს პოლკოვნიკს მაჰავარიანს მიეცა ღენერალ-მაიორობა და სამსახურიდან დათხოვნილ იქმნა.

ამავე პოლკის უფროსათ დანიშნულ იქმნა პოლკოვნიკი რიაბუხინი.

*** ბამბა კავკასიაში. მკითხველებმა უკვე იციან, რომ სამინისტრომ კავკასიაში ბამბის მოსაყვანათ და მის გასავრცელებლათ დანიშნა ბ-ნი ტარატინოვი. როგორც ცნობებიდგანა სჩანს ამ ტარატინოვს მრავალი ბამბა მოუყვანია ყარაიასის მინდორზედ და გაუყიდნია ფუთი 8 მან. 50 კაპეიკათ. ჯერ-ჯერობით სულ გაუყიდნია 800 ფუთი.

*** ოპერეტტა კრუჟოკში იქმნება მუდამ ხუთშაბათობით. დღეს ითამაშებენ ოპერეტტა „ბოკაჩჩიოს".

*** ანიშნებიან ტფილისში ვეტერინარები ათ-ათის თუმნის თვიურის ჯამაგირით ყურის საგდებლათ ქალაქში შემოსულ პირუტყვებისა.

*** საინტერესო ცნობა. როგორც ახლად შედგენილის ცნობებიდგანა სჩანს კავკავის რკინის გზას 1900 წელს შემოსავალი უნდა ჰქონდეს 21,021,000 მანეთი, გასავალი უნდა ჰქონდეს 13,021,000 მანეთი ასე რომ წმინდა მოგება ამ წელს დარჩებაო 7,201,642 მან.

*** უბედურება რკინის გზაზედ. გუშინ, 17 ნოემბერს, კავკასიის რკინის გზაზედ კასპის და ქსნის სადგურების შუა, როგორც კერძო პირებმა შეგვატყობინეს, მოხდა უბედურება. ბათუმიდგან მოდიოდა მატარებელი მატარებელი. ეს შესდგა თუ არა ძეგვის ხიდზე, უცებ ხიდი ჩაინგრა, მტკვარში გადავარდა მატარებელი და თანაც მიჰყვა ერთი ვაგონიც. სხვა ვაგონებიც მიჰყვებოდნენ რომ დროზედ არ შეეკავებინათ. ხიდის ჩანგრევის გამო მატარებლების სიარული ჯერ-ჯერობით შეჩერებული არის.

## სასამართლოს მატიანე

—

1) დ. გაბაშვილის მოკვლაზედ.

მკითხველებმა უკვე იციან შინაარსი საქმისა დ. გაბაშვილის მოკვლაზედ. ეს მოკვლა ბრალდებათ თავ. შიხი ტუსიშვილს, ვლ. ბარათაშვილს, აზნაურს გოსიტაშვილს და სომეხს ტერშმოვანოვს. ამათ სუყველას სასამართლო პალატამ ოთხ-ოთხის წლით კატორგაში გაგზავნა გარდაუწყვიტა. სენატმა ეს საქმე ხელმეორედ სასამართლო პალატაში გასარჩევად, ჩაშალა. სასამართლო პალატაში ეს საქმე გაირჩევა 13-ს მომავალს იანვარს.

—

2) ექიმის ვართაპეტოვის საქმე.

7-ს მომავალს დეკემბერს ოლქის სასამართლო გაარჩევს ექიმის ეფრ. ვართაპეტოვისას. ამ ექიმს ბრალდება ის, რომ მან თავისი ცოლი მარიამი, დაბადებით ოქრომჭედლოვისა, იქამდისინ მიიყვანა თავისი სასტიკის და ცუდის საქციელით, რომ ეს უკანასკნელი იძულებული იყო თავი მოეკლა. დამნაშავეს დაიცავს პეტერბურგის ნაფიცი ვექილი პ. გ. მიროնოვი.

## სხვა-და-სხვა ამბავი

ამას წინად ერთის მოხელის ქალმა ავსტრიაში წიგნთ-საცავიდგან წასაკითხავად გამოიტანა შესანიშნავ რომანისტი ემილ ზოლას რომანი „Le docteur Pascal"-ი (დოქტორი პასკალი). მამამ ახალგაზდა ქალს რომანი წაართვა და აუკრძალა იმის წაკითხვა. მაგრამ რადგან ქალი თავისას არ იშლიდა და წიგნს უკანვე თხოულობდა, მამამ თვით ზოლას მისწრა და სთხოვა, შემატყობინეთ, შეიძლება ახალგაზდა ქალს ნება მივცე თქვენი რომანი წაიკითხოს თუ არაო. ზოლასაგან შემდეგი წერილი მიუვიდა მოხელეს: „მოწყალეო ხელმწიფევ! მე რომანებს ახალგაზდა ქალებისთვის არა ვწერ და არცა ვფიქრობ, ჩემი რომანების წაკითხვა სასარგებლო იყოს იმ ახალგაზდათათვის, რომელთა გონებაც ჯერ განვითარების გზას ადგია. ამიტომ კარგად იქცევით, რომ თქვენ შვილებს ისეთის რომანის წაკითხვას უშლით, რომელსაც ვერ გაიგებენ. შემდეგ როდესაც ცხოვრებაში გამოვლენ, გამოიცდებიან, ავსა და კარგს გაიგებენ, მაშინ ნება ექნებათ ის წაიკითხონ, რაცა ჰსურთო".

—

როგორც ვუწყით, სამხრეთ აფრიკაში, განსაკუთრებით კიმბერლეიში, სადაც ამ ჟამად ომია, დიდი თვალ-მარგალიტის მადნებია. აქედან მარგალიტი უმთავრესად ამსტერდამში მიჰქონდათ და აქ აკეთებდნენ სხვა და სხვა ნივთებს. ომმა მეტად ცუდი შედეგი იქონია მარგალიტის წარმოებისათვის. ვინაიდან სამხრეთ აფრიკიდან მარგალიტი აღარ მოაქვთ, ქარხნებში მუშაობა შეჩერებულია. გაზეთების სიტყვით, 10,000 მუშაზე მეტი დარჩა უმაშოდ, მამასადამე, ულუკმაპუროდ.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგანი).

**ბერლინი.** ლედისმიტიდგან მოსულს და „Deutsehe Zeitung"-ში დაბეჭდილ წერილში გენერალი ჟუბერი ამბობს: იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ჩვენ ინგლისის ჯარის ერთად თავმოყრას ხელი ვერ შეუშალეთ, ეს ჯარი ბუნებრივის მიზეზების გამო იმდენად დაუძლურდება, რომ 35,000 კაცის მეტს ვერ დაგვიყენებს წინ, დანარჩენი ნაწილი-კი საეტაპო ადგილების დაცვას მოუნდებაო. ჩვენი საეტაპო ადგილები ჩვენს საკუთარ მიწა-წყალზედ იმყოფება და მათ დასაცველად 500 კაცი გვეყოფაო. საგერი ომი ჩვენთვის უფრო ხელ-საყრელია, ვიდრე თავ-დასხმით ომიო ტრანსვაალისა და ორანჟის მაღლობებზედ ჩვენ ისე ვგრძნობთ თავს, როგორც ჩვენს სახლში და ინგლისელები იძულებულნი იქმნებიან ნაბიჯ-ნაბიჯ დაიპყრონ ადგილები, ამასთან დიდს გაჭირვებით, და ყოველთვის მზად უნდა იყვნენ საომრად. ამის გამო ინგლისის ჯარი დაიქსაქსება და მაშინ ინგლისელები ომს მხოლოდ რამდენსამე თვეს გაუძლებენ. უკვე ამ ჟამად ბურებს 50,000 კაცი ჰყავთ ბრძოლის ველზედ და ამიტომ შეუძლიათ სახეში არ მიიღონ ხალხის აჯანყება კაპის ახალშენსა და ნატალში, მაგრამ თუ ინგლისელებმა კიდევ განაგრძეს ადგილობრივ მცხოვრებთა წაქეზება ბურთა წინააღმდეგ, ამ შემთხვევაში უთუოდ ყველა აფრიკანელები აჯანყდებიანო.

**ბერლინი.** აქაური უმაღლესი წრეები თავ-გამოდებით აცხადებენ, რომ იმპერატორისა და ფონ-ბიულოვის საუბარი ინგლისის მინისტრებთან სრულიადაც არ შეჰხებია საყურადღებო პოლიტიკურ საგნებს განსაკუთრებით ტრანსვაალსა და ჩინეთს.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო". მეტუენისაგან მიღებულ დეპეშიდგანა სჩანს, რომ გენერალი საბრძოლად 13 ნოემბერს დილით გასულა. მიახლოვებია რაგრასპოს, შეჰხვედრია მოწინააღმდეგის რაზმს, რომელიც 2,500 კაცისაგან შესდგებოდა და რომელსაც 6 ზარბაზანი ჰქონია. ბრძოლა დილის ექვს საათზედ დაიწყო. ბატარიებიდგან იმ დრომდე ისროდნენ, ვიდრე მტერი მაღლობებს თავს მიანებებდა, მაშინ ჯარის-კაცებმა იერიში მიიტანეს. ძლიერის ბრძოლის შემდეგ, რომელმაც ათი საათი გასტანა, მაღლობები აიღეს. ბურებმა დაიწიეს, იმათი ადგილი ულანთა მე-9 რაზმმა დაიჭირა. ომის დაწყებისას 500 ბურმა იერიში მიიტანა მოწინავე რაზმზედ, მაგრამ გვარდიის ბრიგადამ უკან დასწია მტერი. საზღვაოსნო ბრიგადა მამაცად იბრძოდა, მაგრამ ბევრი მეომარი დაჰკარგა. დაწვრილებით არ ვიცით ზარალი. ბურებმა დიდი წინააღმდეგობა გასწიეს. რამდენადაც ვიცით, 30 კაცი მოკვდა და 45 დაიჭრა იმათი. ერთ ადგილას 50 მოკლულის ცხენის ლეში ეგდო. ინგლისის ჯარი გარასპოში ერთ დღე-ღამეს გაატარებს.

იმ ბრძოლის შესახებ, რომელიც ხუთშაბათს მოხდა გენერალი მეტუენი დეპეშით შემდეგს იუწყება: ჩვენ გავიგეთ, რომ ბურების მხრივ 80 კაცი იქმნა მოკლული. ჩვენ დავწვით ბურების 64 ურემი, გავანადგურეთ 750 არტილერიის იარაღი და 50,000 ტყვია, აგრეთვე თოფის წამალი. ბურების არტილერიის უფროსობდა ალბრეხტი, ხოლო მთელ ჯარს დოლივი.

**პეკინი.** საფრანგეთის ელჩმა მოითხოვა, რომ ჩინეთსს ის მოხელენი, რომელნიც პასუხის-მგებელნი არიან საფრანგეთის აფიცრების მოკვლაში, სიკვდილით იქმნენ დასჯილნი, და ამის გარდა ჩინეთმა ცოტაოდენი ფულიც გადაიხადოს. ჩინეთი უთუოდ დათანხმდება, რადგანაც უფრო მძიმე პირობებს მოელოდნენ.

**დურბანი.** 13 ნოემბერი. გენერალი ბულლერი აქ მოვიდა დღეს საღამოთი და გუბერნატორის სალონვაგონით ნატალში წავიდა. გენერალს ხალხი ოვაციებით მიეგება.

**დურბანი.** „რეიტერის სააგენტო". ტელეგრაფით ამბის მიტანმოტანა ესტკორტამდის აღდგენილ იქმნა. მდინარე მოოისაკენ გაგზავნილი მზვერავი ჯარი ჯერ არ დაბრუნებულა.

**ესტკორტი.** „რეიტერის სააგენტო". ჟუბერი ლედი-სმიტისაკენ იწევს მდინარე მოოიდგან.

**კაპშტადტი.** „რეიტერის სააგენტო". ბურები უახლოვდებიან სტრომბერგს.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო". „Daily Telegraph"-ის დეპეშით ატყობინებენ ესტკორტიდგან 14 ნოემბერს, რომ მდინარე მოოის ნაპირიდგან გასული ინგლისელები დღეს შეუერთდნენ ფრერეში გენერალ გილიარდის ჯარსო. იმავე გაზეთს დეპეშით ატყობინებენ პიტერმარიცბურგიდგან, 14 ნოემბერს, რომ გუშინ აქ მოვიდა გენერალი ბულლერიო.

„Daily News"-ს დეპეშით ატყობინებენ კაპშტადიდგან, 14 ნოემბერს, რომ, პრეტორიიდგან მოსულ ცნობებით, პრეზიდენტის კრიუგერის ჯანმრთელობა საშიშოთ არისო.

**დურბანი.** „რეიტერის სააგენტო". როგორც დეპეშით ატყობინებენ „Natal Advertiser"-ს ესტკორტიდგან, ბრძანება გაუციათ, რომ მთელი ინგლისის ჯარი გაელაშქროს კოლენზოზედ. გაზეთის აზრით, ჟუბერი მიტომ იხევს უკან, რომ ინგლისელებს შეძლება არ მიეცეს ტუგელზედ გასვლისა.

**ლონდონი.** რკინის გზის ლიანდაგი მოოი-რივერ-ფრერისა აღდგენილია. სამხედრო სამინისტროში დეპეშა მოვიდა პიტერმარიცბურგიდგან გენერალ ბულლერისა, გუშინ საღამოს გამოგზავნილი, რომელიც იუწყება, რომ ბრიგადამ, რომელიც გენერალ გილდიარის უფროსობის ქვეშ იმყოფება, 11 ნოემბერს ესკორტიდგან ბურების წინააღმდეგ გაილაშქრაო. ამ უკანასკნელთ ბეკონის მაღლობი დაიჭირეს, რომელიც ვილლა-გრეჯს დაჰყურებსო. ბურებმა უკან დაიხიეს; ტელეგრაფი ესკორტსა და ვესტანს შორისაც აღდგენილიაო. ინგლისელებს 14 კაცი მოუკლა მტერმა და 50 დაუჭრა. გილდიერი მიუახლოვდა ფრერის მახლობლად ბურების ბანაკს და იმედი აქვს გზა მოუჭრას იმათ, რომელნიც, როგორც ჰფიქრობენ, კოლენზოსაკენ იწევენო. ბარტონი დასავლეთის მხრით მიდის ესკორტისაკენ. რკინის გზა გახსნილი არის. ეხლა ჩრდილოეთის მხრით ფრერამდის.

**დურბანი.** „რეიტერის სააგენტო". 11 ნოემბერს, ბეკონის სერთან ბრძოლის დროს, რომელშიაც. მონაწილეობას ღებულობდა ჯარი გილდიარის უფროსობით ინგლისელების მხრით, როგორც „Natal Advertiser"-ს გაუგია, მომკვდარა 15 კაცი და ტყვედ წაუყვანიათ 72; უესტ-იოკშირის პოლკის რამდენიმე კაცი და მაიორი გობსი ტყვედ ჩაუვარდნენ ხელში მტერს. ჯარში აკლიათ რამდენიმე უნტერ-აფიცერი და სალდათი.

**ესტკორტი.** „რეიტერის სააგენტო". საღამოს ინგლისელები ფრერისაკენ წავიდნენ. რკინის გზის ხიდები დანგრეული დახვდათ. რკინის გზის ლიანდაგი ექვს ადგილას შეკეთდა. ბურები სიჩქარით უკან იხევენ.


## განცხადებანი

ექიმი

**გ. ს. გენცენფილდი**

ეხლახან დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან.

არჩენს ავადმყოფებს ვერენიულის (სიფილისი) და საშარდეთა სენისაგან და გარეგანი (კანის) ტკივილებისაგან (ელექტრონით).

ავადმყოფთ ყოველ დღე ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე.

კუკიაში მადერის ქუჩა № 5.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Ноября 1899 г. სტ. „ძნ. ფურ.) : კუნისა), რედაქტორ-გამომცემელი მ. ზუნი...